ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ92. 92233056**

თარიღი:**01/11/2023**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების მიერ ინიცირებული საპროექტო განაცხადების დაფინანსების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის, "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N27 დადგენილებისა და "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების ინიცირებული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი1. გამოიყოს თანხა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების ინიციატივების დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამიდან (05 04) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების მიზნით სულ 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით.
/საფუძველი:"ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების ინიცირებული პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების კომისიის" 2023 წლის 30 ოქტომბრის N92-9223303119 მომართვა და კომისიის ოქმი N2./
მუხლი2. დაევალოს "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურს", განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ღონისძიებები, რაც საჭიროა ახალგაზრდული საბჭოების მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელების მიზნით, დანართის შესაბამისად.
მუხლი3. ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული პროცედურის აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "საფინანსო სამსახურს".
მუხლი4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
მუხლი5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ზურაბი კოჭლამაზაშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი